საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030110961692020

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7411 **01 / ივლისი / 2020 წ.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელ დირექტორს ბატონ
გიორგი კლდიაშვილს
მის. ქ. თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. №20

ასლი: საქართველოში საბჭოური პერიოდის
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და
თანადგომის საზოგადოება - „მემორიალის"
თავმჯდომარეს ბატონ გურამ სოსელიას
მის: ქიქოძის ქ. №15, ბ. 11

ბატონო გიორგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 25 ივნისის № GOV 3 20 00023866 წერილით შემოსული თქვენი №202006087; 24/06/2020 წერილი, რომელიც რომელიც ეხება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის - 44 ლარამდე გაზრდის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, 2007 წელს განხორციელდა საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების მონეტიზაცია და „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად, განისაზღვრა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა წრე და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობები.

აღნიშნული ფულადი გასაცემლის შემოღებამდე, კანონმდებლობით დადგენილი საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათები განსხვავდებოდა სოციალური კატეგორიისა და შეღავათის მოცულობის მიხედვით. კერძოდ, თუ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის ელექტროენერგიის შეღავათი ვრცელდებოდა ზამთრის სეზონზე (ნოემბერი–მარტი) 125 კვტ სთ თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი–ოქტომბერი) – 75 კვტ სთ თვეში, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირი, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – შვილები 18 წლის ასაკის მიღწევამდე და შრომისუუნარო მეუღლე, მშობლები და შვილები სარგებლობდნენ ელექტროენერგიის უფასო მოხმარებით თვეში 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ სთ-ის ოდენობით.

ამასთან, 2012 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის ფულადი გასაცემლები გაერთიანდა ერთიან საპენსიო/სოციალურ პაკეტში. „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის № 279 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სხვა კატეგორიის პირებთან ერთად, სოციალური პაკეტის მიმღებია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები, რომლებიც ამავდროულად

არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები, ხოლო სოციალური პაკეტის ოდენობა შეადგენს – 122 ლარს, აგრეთვე, სხვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები, რომელთა სოციალური პაკეტის ოდენობა 107 ლარს შეადგენს.

აღნიშნული წესის მე-12 მუხლის თანახმად, სოციალური პაკეტის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა, სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის დანიშვნას არ ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის - 44 ლარამდე გაზრდის შესახებ, აღნიშნული გამოიწვევს საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვან მატებას, რაც არ არის გათვალისწინებული ,,საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ამ მიზნით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილებით განსაზღვრული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდის თაობაზე, ანალოგიური მოთხოვნა აქვთ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ სხვა კატეგორიებსაც (ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს, სამხედრო ძალების ვეტერანებს, ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის შშმ პირებს და სხვ), მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდა, გამოიწვევს ზემოაღნიშნულ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა სამართლიან უკმაყოფილებას ანალოგიური შეღავათით სარგებლობის მოთხოვნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია
მტამგდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე